ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი დ. ა. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.07.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 065/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. ც.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. ც.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია**

1.1 2020 წლის 29 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა დ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. ც.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ხ. ჯ. განიხილავდა სამოქალაქო საქმეს N, მოსარჩელე დ. ა. – მოპასუხეები შპს „ე. დ.“, ნ. ა.. მოცემულ საქმეზე, ნ. ა.-ს წარმომადგენელმა ვ. ც.-მ სასამართლოს წარუდგინა ე.წ „საჩივარი“, რომელიც თითქოსდა შესრულებულია „სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ „ვ. ც.-ის ს. ბ.“–ში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ვ. ც.-ის საჩივარი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის (სსსკ-ის 362–ე მუხლი, ყალბის საბუთის დამზადება–გამოყენება) ნიშნებს.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატ ვ. ც.-ის თანახმად, ის საადვოკატო საქმიანობას აწარმოებს „ადვოკატთა შესახებ“ დადგენილი წესით, რომლის პირველი მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“. აღნიშნული მუხლის ეს პუნქტი კუმულაციურად განიხილავს იმ სავალდებულო მოთხოვნებს, რომლითაც განისაზღვრება ადვოკატის სტატუსი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირი, სხვა მოთხოვნებთან ერთად მათ შორის გაწევრიანებული უნდა იყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

2.2 ადვოკატ ვ. ც.-ის ცნობით, ის გაწევრიანებულია სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში და წარმოადგენს ამავე ასოციაციის წევრს.

2.3 ადვოკატ ვ. ც.-ის განმარტებით, მის მიერ შემუშავებული ბლანკის სატიტულო ზედა ნაწილში მითითებულია მისი სტატუსი - ადვოკატი და ინფორმაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის თაობაზე, ხოლო ბლანკის სატიტულო ქვედა ნაწილში სრულყოფილადაა მითითებული მისი რეკვიზიტები.

2.4 ადვოკატ ვ. ც.-ის თანახმად, საჩივრის ავტორის განცხადება უსაფუძვლოა და არ შეიცავს, არც სსსკ–ის 362–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს და არც ადვოკატთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს არღვევს.

II სამოტივაციო ნაწილი:

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი, ვ. ც. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 დ. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 29 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის საჩივრით მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ვ. ც.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატება შემდეგში: ადვოკატ ვ. ც.-ის საჩივარი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის (სსსკ-ის 362–ე მუხლი, ყალბის საბუთის დამზადება–გამოყენება) ნიშნებს.

5.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე-5 - მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის." კანონის მე-5-მე-9 მუხლები, ისევე როგორც ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ. ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები, უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას.

5.3 საჩივრის ავტორი მიუთითებს ადვოკატის მიერ ისეთი ქმედების შესაძლო განხორციელების შესახებ, რომელიც სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას. კერძოდ, ადვოკატის მიერ შესაძლო ყალბი საბუთის დამზადება–გამოყენება შესაძლოა უკავშირდებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის პრეტენზია არ შეესაბამება ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს და შესაბამისად აღნიშნული საკითხი სცდება ეთიკის კომისიის უფლებამოსილებას.

5.4 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში." შესაბამისად, საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

5.5 მოპასუხე ადვოკატის ინფორმირებისთვის საპროცესო კოლეგიამ საჭიროდ ჩათვალა მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია სატიტულო ფურცლის გაფორმება საადვოკატო ბიუროს ქვევით წარწერით - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. კოლეგია მსჯელობისას ეყრდნობა ეთიკის კომისიის 2013 წლის 5 ნოემბრის რეკომენდაციას /N018/13/, სადაც შეფასებულია სსიპ საქართველოს ასოციაციის ლოგოს გამოყენება ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მიერ. რეკომენდაციის თანახმად: „ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მიერ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება კანონით არ არის აკრძალული, თუმცა, ასეთი ქმედება შესაძლოა მესამე პირებისათვის იყოს შეცდომაში შემყვანი, გამოიწვიოს კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს გაიგივება სსიპ ადვოკატთა ასოციაციასთან და შექმნას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფრთხე. ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკა მისი, როგორც კონკრეტული სსიპ - ის განმასხვავებელია და გამოარჩევს მას სხვა იურიდიული პირებისაგან, დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ და მიიჩნევა ასოციაციის კუთვნილებად. მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით მიზანშეწონილია, ადვოკატმა არ გამოიყენოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო. შესაძლოა სატიტულო ფურცელზე, სავიზიტო ბარათზე **მითითებული იქნეს, რომ პირი არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,** ადვოკატის სიითი ნომერი ერთიან რეესტრში, პირადი მისამართი, ტელეფონი და სხვა საკომუნიკაციო რეკვიზიტები. ეთიკის კომისია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებას სატიტულო ფურცელზე, ბეჭედზე, სავიზიტო ბარათზე,

ორდერზე, სარეკლამო ბანერზე და სხვა საშუალებებზე, სადაც ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებით, შესაძლებლია მიჩნეული იქნეს, რომ საკუთარ პოზიციას გამოხატავს ასოციაცია და არა კონკრეტული პირი.“ **შესაბამისად, რეკომენდირებულია ადვოკატმა ვ. ც.-მ დააზუსტოს სატიტულო ფურცელზე, რომ წარმოადგენს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს და ბიუროს ქვევით ნაცვლად სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა მიუთითოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.**

5.6 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე-33-ე მუხლებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N065/20 ადვოკატ ვ. ც.-ის /სიითი N/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/